

ლიტერატურული გაზეთი

№11 (123) 6 - 19 ივნისი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ზაალ სამადაშვილი ტელევიზორის შესაკითხვად მოსვლა II-III

გაგვიშუქდა ტელევიზორი და ვიფიქრეთ — შუქი რომ ჩაქრა, გამორთვა დაგვაინწყდა ალბათ და უეცრად მოვარდნილმა მაღალი ძაბვის დენმა რომელიღაც ნაწილი გადაუნვაო. ის დრო იყო, დღე-ღამეში სამი-ოთხი საათით რომ მოგვეწოდებოდა ელექტროენერგია, პატარებს ნათურის კაშკაში რომ აკვირვებდა და უფროსები კუდში რომ დავდევდით მონტიორებს, რომლებიც, მცირეოდენი საზღაურის ფასად,

ვილაცას შეღავათს აძლევდნენ, მეტ ხანს ამყოფებდნენ სინათლეში, ვილაცას, ფულის დაცინცვლამდე, ბნელში. მოკლედ, აურია ჩვენმა ტელევიზორმა, გამოსახულება დაიკლაკნა, ხმის მაგივრად შიშინი გაისმა; არადა, იმდროინდელი საზომებით, თითქმის ახლად ითვლებოდა; ოთხი წლის წინ ნაყიდ „РАДУГА“-ს (ქართულად — ცისარტყელას), სულ ცოტა, ათი წელი უნდა გაეძლო კიდევ, ჩემი ანგარიშით.

რატი ამაღლობელი

V

აძვერი ხეზე, კენწეროზე, სხვენზე აძვერი, გული გაგისკდეს შეიძლება — ჩანს მყინვარწვერი.

როგორც ჰაერში დაკიდული თოვლის ბალი და როგორც ნილაბი აღებული ღმერთის სახიდან —

მყინვარწვერი

ჩანს მყინვარწვერი ცის სიღრმეში ამოყვანილი, როგორც ტაძარი, როგორც ლოცვა, როგორც ყვავილი.

უკან დახევით, ფეხის თითის წვერზე აწვეით, როგორც ფარულის გაცხადება — ჩანს მყინვარწვერი.

ეკატერინე ტოგონიძე

კახაბერი
კაცი, რომელიც წავიდა

მე შევიზღუდე შესაძლებლობა
და გავხდი თავისუფალი.

წმინდა შესაქლავლობა

VI-VII

ბაიბ კარალიოკს რაღაცნაირად კბეჩდა, უხმაუროდ. ისე გემრიელად ილუკებოდა, ნერწყვი მოგადგებოდა. კარალიოკი არ მიყვარს, მაგრამ მის თეთრ თითებში მოლაპლაპე ნარინჯისფერი უნებურად მტაცებდა თვალს, უაზროდ მივჩერებოდი ერთმანეთის მიყოლებით გაჩენილ მოყავისფრო ღრმულებს, მოზრდილ ნაკბეჩებს, ჯანმრთელი კბილების კვალს. შემოდგომა იყო და დაშაქრულ ამინდებში მისი ჟღალი, ჩამოშლილი

თმაც კარალიოკით ელავდა მზეზე. ოქროს ძეწკვი ლავინის ძვლებს შორის ეშვებოდა, ოდნავ ამოზრცულ პატარა ხალს ეხებოდა და სავსე უბეში იკარგებოდა. „ჯვარია? ჯვარი უკეთია თუ არა?!“ — მიტრიალებდა განუწყვეტილვ. ნამზეურით გამრავლებული ჭორფლი ისე ეყარა მხრებსა და სახეზე, დათვლას მანდომებდა: ერთი, ორი, სამი... ხუთი... თვრამეტი... ორმოცი... ასი... ორასოცდახუთი... სამასი... ბავშვობაში ასე ვარსკვლავებს ვითვლიდი ცაზე, ვითვლიდი და რა შავდებოდა?! დედა მე და ჩემს ძმას სალამურას გვიკითხავდა. ბაია ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა ჩვენ შორის — ციციანთელების მწყემსი, მზისუნახავი, ღამის გოგო. ჩემი ძმა ამბობდა, სალამურა ვარო და მწყინდა.

ბექა ქურხული

IX

ჩამი ძმაცაცების სახელები

— Что за борьба? Чѣ патроны попусту палите?
— Друзей. друзей. братьев наших хороним!..
Салют. салют последней чести отдаѣм!..
Как положено!..
Александр Невзоров. „Чистилище“

გელორდა

გელორდა 1999 წლის 17 სექტემბერს დაიღუპა ავარიაში. გელორდა გელა ხაჩიძეა, კლასში ხაჩიკას ვეძახდით. გელორდა, მოგვიანებით, სკოლის დამთავრების შემდეგ დავარქვით. ნული ჯგუფიდან, ხუთი წლიდან, ერთ კლასში ვისხედით. თბილისის I ექსპერიმენტული სკოლის 0 კლასში შეგვრეკეს 1980 წლის პირველ სექტემბერს და ჩვენი ცხოვრებაც დაიწყო. ამ დღიდან მისი გარდაცვალების დღემდე ვძმაკაცობდით და ახლაც ვძმაკაცობთ. უბრალოდ, აქ აღარ არის. წავიდა.

ანა კორძაია-სამადაშვილი

ნათლიას მოედანი

XIII

აპრილის ბოლოს განვიმდა, და იწვიმა და იწვიმა. ჩვენ ტყეში ვიყავით. წესით, სანყენია, ტყეში რომ ხარ და წვიმს, მაგრამ როცა თვრამეტი წლისას ყველაზე მაგარი ბიჭი გახლავს, და გრძელი თმა გაქვს, და თმა დაგისველდა, და შიგ ჩანწული გვირილებიც დასველდა, და დედა, იცი, რომ ლამაზი გოგო ხარ... ის მაისი და ის წვიმა ძალიან კარგი იყო.

ქალაქში დაბრუნებულეებს გვითხრეს, რომ ჩვენი საქმე წასულია, მალე ძალიან ავად გავხდებით და დავიხსოვებით, იმიტომ, რომ ჩერნობილი აფეთქდა.



ანდრო ბუაჩიძე

შეშლილი სოფელი დღევანდელი

როცა გადავალ დღემის ბეჭობზე, თითქოს ლაჟვარდის ხსენით ვივსებ და გავიხსენებ ჩემს ძველ მეგობრებს, სადაც ტოკავენ კიპარისები. სადაც ყოველი კუთხე-კუნჭული არის წყნარი და ნამყუდროები, სადაც მე ვივლი თვალდახუჭული, სადაც წარსულის რხევას მოვებო. ეს სივრცე არის სოფელ დღევანდელი და მე აქ ვდგავარ აცრემლებული, სადაც დაფრინავს ქორი ილბლისად, ლაჟვარდში ოდნავ დაცრელებული. აქ, ამ ადგილას თითქოს საჩემოდ ყრუ წარსულიდან გმინვა მოისმის, არ ვიცი, ვლოცო თუ შევარჯენო ეს აღბეჭდილი ხსოვნით პოლისი. არ ვიცი, როგორ არ გავიხსენო ჩემი ნაძმევი თუ ძმადყოფილი, ცხოვრება როგორ გადავიხსენო, რომელშიც დამდევს მათი პროფილი. აქაც ცხოვრობდნენ ალბათ ცოდონი, რომ გადაფერდა და თან გარიყა ცხოვრებამ, აქაც იყო სოლომი, არ იქნებოდა ვიცი სხვარიგად. და მაინც უნდო და უპოვარი აქ ვდგავარ ჩემი ძმების ნიშანთან, აქ ვდგავარ ჯერაც, მათი მხსოვარი და მათთან უკვე არა მიშავს რა. ამ შემოდგომას მეც აქ ამოველ, — სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე და უკან ნავალ ამ საღმოსვე, უკან გამრიყავს ჩემი ბედივე. ხელს დამიქნევენ კიპარისები, მინაზე თალხი ჩრდილის მოთრევით, ლაჟვარდის ხსენით კვლავ ავივსებ და მოფრიალე წითელ ფოთლებით...

ვიღაც რომ დადის ნაშუალამეს

ვინ არის ის, ვინც ფოთლების შვავში მიდის და თავის სინანულს მისდევს, უმანკო, როგორც მტრედი და ბავშვი, ნაშუალამეს ის არის ქრისტე.

და ჩვენ, მძინარე ადამიანებს, ჩაგვესმის ძილში ფოთლის შრაშუნი, თითქოს ამ ყოფნის ნადავლი არის და მაინც ახლავს რაღაც ბავშვური.

ცაზე ცახცახებს მთვარე ბენივიით და თავზე ადგას ვარსკვლავი ცისკრის, ბაზრის დახლები გადავერცხლილი მთვარის დარდიან ანარეკლს ისვრის.

გამოვიღვიძე. გამოდი გარეთ, რადგან ჟამია ახლა ღვიძილის, გამოდი, ნახე დაღვრილი მთვარე, და ქვაფენილზე მისი ციმციმი.

გამოდი, შენი სიზმრის ბზარებში, ღამის შრიალი არის ჩამდგარი, გამოდი, გარჯა ნუ გეზარება და მოისმინე ღამის ნათქვამი —

რომ მიაბიჯებს ფოთლების შვავში, მიდის და თავის სინანულს მისდევს უმანკო, როგორც მტრედი და ბავშვი, ხომ შეიძლება ის იყოს ქრისტე...

ისმაილ კადარაის რომანი „მკვლარი არმიის გენერალი“

როგორ გავძელით ჩვენ მათ გარეშე, საოცარია, — როგორღაც ვძლებდით, როცა ესვენა სხვა ქვეყანაში ჩვენი შვილების დამზრალი ძვლები, ჩვენი მამების დამზრალი ძვლები და ბაბუების დამზრალი ძვლები. აჰა, ვიძინებთ, სინათლეს ვაქრობთ, სინათლეს ვაქრობთ და ვწვებით, და გვესიზმრება შორს, არცთუ ახლოს, მარხია ჩვენი ძვირფასი ძვლები. ჩვენი ძვირფასი ძვლები მარხია და ჩხრიალებენ თითქოს ეს ძვლები, და თითქოს გვიცქერს ვიღაც თვალღია, და თვალზე ადგას კამკამა ცრემლი. კამკამა, როგორც მედალიონი, ყველა მებრძოლს რომ დაჰკიდეს ყელზე, რომ ყოფილიყო ძებნა იოლი, ვინც მათ ეძებდა და ვინც მათ ეძებს. და სადღაც მთაზე ანდა მთის თხემზე, იქ, სადაც ფარა ირევა ცხვრების, სხვა ქვეყანაში, სიზმრებში ვეძებთ ძვლებს და წყვილად ელავენ ძვლები. თუმცა მრავალი გავიდა წელი და გაივლიან კვლავ მძიმედ წლები, კვლავ საიდანლაც ყვირიან ძვლები, ყვირიან და თან გმინავენ ძვლები... ჩვენ კი ძილის წინ სინათლეს ვაქრობთ, სინათლეს ვაქრობთ და უხმოდ ვწვებით, და ვხედავთ სიზმრად — ცარიელ თხემზე გაყურებული ფარა დგას ცხვრების.

რა უცნაურად გაუჩინარდა კაცი, რომელსაც ხელთ ეპყრა კვარი, დარჩა მთვარე და შავი მდინარე, შავი მდინარე, სახელად მტკვარი. კაცი ცარიელ დერეფანს გაჰყავა, ხელში ეჭირა დიდი კანდელი, ის საიდანლაც მიყურებს ახლაც, ნათელს თესავს და ბნელს კი განდევნის. რა უცნაურად გაუჩინარდა კაცი, რომელსაც ხელთ ეპყრა გზნება, ჯერ ღამე იყო, მერე ინათა სიკვდილისა და სიცოცხლის გზებად.

ეს თეთრი ქედი, თეთრი თხემები ჩემს მოთმინებას ავსებს წვეთით, გაშლილი, როგორც ქრისტეს ხელები და ჩამონთხეულ — ჩამოფლეთილი. ღმერთო, რამდენი რამე გადაქრა, რამდენი რამე გადაილია, შენ შეიძლება მკითხო: „სადა ხარ, ან შენი ყოფნა რანაირია?“ ეს თეთრი ქედი, თეთრი თხემები, ჩემს მოთმინებას ავსებს ფიალას, ღმერთო, რამდენი რამე გადაქრა, რამდენმა რამემ გადაიარა...

მას უძილობა ანუხებს და უკვე თენდება, ის ფიქრობს ქალზე... მასთან ყოფნა იყო არია მწუხარე და თან ტკბილი, როგორც ძირმწარის წვენი და ყველაფერი თავდებოდა ვარდნით და ცვნიით... ახლაც ფიქრობს და ელიმება, ვნებით ენთება, მაგრამ ის წუთი რახანია უკვე მკვდარია...

პარტიზანას

ჩემს მეზობელ პარტიზანას აჩუქეს ძალღი — ნახევრადმგელი

როცა მოდიხარ შენ სახლში მთვრალი და ძალი გელის, და ასე უმზერო ნახევარმთვარეს ნახევრადმგლები.

ნახევრადმგლები, ჩვენ ყველა ერთად ნახევრადმგლები, ბინებში ვცხოვრობთ ნალვლით, წუხილით და მუცლის გვრემით. ამ ზამთრისპირზე, ამ ღამის შუქზე ანთია ბალი და ბალშია ნახევრადძალი. ნახევარმთვარეს აცქერდება ნახევრადმგელი, კორპუსის ძირას ბალია და იმ ბალში გელის.

გადაქცეულნი ამ ცხოვრების უნდო ხიზანად, ერთად დადიან ნახევრადმგელი და პარტიზანა.

და პარტიზანაც არის თვითონ ცხოვრების გერი, ნახევრადმგელთან ერთად დადის ნახევრადმგელი.

ძალღს ერთი თვალი ძალღისა აქვს, მეორე — მგლისა, და ამიტომაც ყველასთან არის ის დანასისხლად.

ნახევრადმგლები, ჩვენ ყველა ერთად ნახევრადმგლები, ბინებში ვცხოვრობთ, ვნვალობთ, ვირჯებით და მერე ვქრებით...

რა უბრალოა სვე და ბედი ადამიანის და მის სიღრმეში რა უბრალო სინათლე სჭვივის, ის საღამოა, ქუჩაზე რომ გადაიარა ან სამაროზე მაგიდაზე, ან ჩრდილი ჭიქის. და როგორ მინდა, რომ შევეხო უბრალოებს, ეს ყოველივე ჩემთვის გახდეს ხელშესახები, უნდა შეჩერდეს ეს საღამო, როგორც დროება და ჩემს შიგნითაც ჩამოღვაროს თავის ნალველი. რა უბრალოა სვე და ბედი იმ კაცის, ვისაც ამ მაგიდაზე ეწყო წიგნი და სიგარეტი, არც შეუნიშნავს მას, ღამეში უჩუმრად მღვიძარს, ოთახი როგორ ნათდებოდა სახსე მთვარეთი. ამ კაცმა თავის სინანული მიანდო სასმელს გასაქარვებლად, დარდი ჰქონდა გაქარვებული და მთვრალმა ისე ჩაიძინა, რომ მთვარე სახსე შუბლს უნათებდა, სახლეს შორის დაქანებული... ისევე ის წყნარი ოთახია, ჩუმი ჭერია, ფანჯრიდან სიო უბერავს და კარი ჭრიალებს, და თუმცა იმ კაცის კვალი არსად არ დარჩენილა, ღამეში მაინც მისი ცრემლი გაიბრჭყვიალებს.

გაზაფხული მოდის ღამეში

ხომ შეიძლება, რომ ღამეში ვიმოგზაურო, ხომ შეიძლება, რომ დავტოვო მე სახლის ზღურბლი და გადავიდე იმ სივრცეში, სადაც ანთია მკრთალი სინათლე — განფენილი კიდეებამდე. ჩემს სანოლში ჩაძინებულმა თუ გასულმა ჩემი თავიდან, მე მირჩენია, ასე ვიარო, ვიარო არა გამიზნულად, არა ხილულად, არამედ როგორც მთვარეულმა ან უსინათლომ, რომელიც გარეთ იყურება, ხედავს კი შიგნით, აი, სარკეს რომ თავის თავის ხედვა შეეძლოს, დაახლოებით იმნაირად და იმგვარადვე. დავეშვებოდი ნუცუბიძის პლატოდან ქვემოთ და შევიგრძნობდი, გაზაფხული მოდის ღამეში, ედება ხეებს და და სახლებსაც ეპოტინება. ის უფორმოა, უსხეულო, უმისამართო და ამ ღამეში უხილავიც არის, უჩინოც... მაგრამ მე ვხედავ, ბავშვობიდან ვხედავდი რადგან, ის დგას ჰაერში და თუმცა კი ხელს ვერ შეავლებ, მაინც შევიგრძნობ, როცა ღამის ნიავთან ერთად ჩრდილი ან ტოტი შეირხევა, როცა ვიტრინის ან ღამის შუქი დაეცემა ქვაფენილებზე...

მე მიმატოვა ყველაფერმა და ყოველივემ,
ჩემმა წარსულმა გაიშრიალა ხესავით და მერე დამტოვა,
სხვებიც წავიდნენ, მეგობრები, ნივთები, მთვარე,
ისე, რომ თითქმის არც უცდიათ დამშვიდობება,
და ახლა, როცა ამ ღამეში ვეძებ გაზაფხულს,
მე იმათ სულებს ვეძებები და ვეძრახები,
მინდა შევავლო ხელი, მაგრამ ვერ შევხვები,
ვიცი და მხოლოდ ფიქრითა ვარ მათკენ დახრილი.

გადავჭრი ქუჩებს, მოედანი ცარიელია,
დგანან ძეგლები უმიზნოდ და უსურვილებოდ,
იმ მიზანსაცხენის გაცვეთილი რეკვიზიტები,
რომელთაც უკვე ვეღარ არჩევს თითქმის ვერავინ.
შუქნიშნებიც კი აზრს კარგავენ და ინთებიან
თუ ქრებიან, არ დაგიდევენ ქრობა-ნათებას...
ხომ შეიძლება, რომ ღამეში ვიმოგზაურო,
გადავჭრა ქუჩა და წავიდე თრიალეთისკენ,
ბაგებისაკენ... ტყისპირების უკუნი ხომ მიმზიდველია!
გაზაფხული მოდის ღამეში... და სასჯელივით
ვინც იხდის ყოფას, იმისთვისაც ჩუმი ნათება
ტყის კორომში შემღვრეული გაზაფხულისა
მაინც რაღაცის მჩუქებელია...

არა, არ წავალ მე ქალაქის შუაგულისკენ,
უფრო კიდევს მივაშურებ და მივინდობი;
ზურგი ვაქციე წიგნებსა და ადამიანებს,
რომელთაც სძინავთ მძიმე ძილით და იხსენებენ
იმას, რაც სულის ფსკერზე ეწყობა და კვლავ
უნყვიათ. და თუნდაც ზემოთ ამოზიდონ
ეს ყოველივე, მაინც ვერაფერს ვერ შეძრავენ,
ვერ შეაღებენ იმ კარს,

რომელიც სამუდამოდ დალუქულია...
აქ, ამ ქალაქში მე ვცხოვრობდი, აქ დავდიოდი,
აქ ვავლებდი ხელს ნივთებს, ქუჩებს აქ მივყვებოდი
და ჰო, რისი მაქნისია ეს სიარული, ეს ფეთება,
ეს წრიალი თუ ვნებათღელვა...
ღამეში დგას მთელი ქალაქი, ვით მუზეუმი,
ვით მუზეუმი, რომელშიც ერთმა კაცმა იცხოვრა
იმდაგვარად, რომ დაესწრო თავის ცხოვრებას
და ახლა დადის ღამის ქალაქში,

მის კიდევს ათვალეირებს...
დიდი ხანია გავცვალე ამ ქალაქს, როგორც
ხმელი ფოთლები ეცლება ხეებს, ჩამოვცვალე,
ჩამოვშორდი და მის კიდევს ვათვალეირებ.
მის გარეუბნებს ვესწრები და ვისწრებ თვითონვე.
არადა, ადრე ჯერ კიდევ ბავშვი აქ დავდიოდი,
აქ ავახილე და მერე კი შევავლე თვალი ამ ყოველივეს...
გამიუცხოვა ამ ქალაქმა და თვითონაც უცხოდ ვიქციე
და იშვიათად თუ დავდივარ, ვით უსინათლო,
უფრო იმიტომ, რომ შევიგრძნო, ჩემი წარსული
როგორ შეერწყა ქვაფენილებს და აიკრიფა.
არა, არ წავალ მე ქალაქის შუაგულისკენ,
იქ აღარავინ არ მიხსენებს,

სადარბაზოებს აღარ ვახსოვარ,
არ ახსოვთ, როგორ ავდიოდი საფეხურებზე,
როგორ ვრეკავდი ზარს, მძიმე კარს როგორ მიღებდნენ
და, ვინც მიღებდა, იმათ უკვე ვერ ვეხსომები,
სახლიც სხვისია, სიზმარშიც კი მეუცხოვება.

დრომ გაიარა და თითქოს მეც შემახო ხელი,
მაგრამ რატომღაც ვერ ვიგრძენი ხელის შეხება
და კვლავ მეგონა დამხვდებოდა რაღაც ნაცნობი,
რაღაც ნაცნობი და ძველთაგან შემორჩენილი.
არა, არ წავალ მე ქალაქის შუაგულისკენ.
ქალაქის კიდეს მივინდობი, მივესწრაფები.
ბაგებისაკენ ტყისპირებს და ცარიელ ტრასას
სუნი ძრავს ჯერარშემოსული გაზაფხულისა
და მეც მივდივარ იმ სასურველ ადგილებისკენ.



ციკლიდან ანგელარიუმი

მგზავრობის ანგალონი

ხშირი, წვრილმანი საზრუნავით, სადარდებელით
შევალ კუბეში, კუთვნილ სანოლს გავიზიარებ.
წითელთვალეა რკინის გველი — მატარებელი
ღამეულ ტყეში იკლაკნება და მისრიალებს.

ტოვებს ხეობებს, მდინარეებს, სოფლებს, ქალაქებს,
ოდნავ მბუჭტავი ფანჯრებიდან გზადაგზა ისვრის
მგზავრების ფშვინვას, შფოთიან ძილს და მათი სიზმრის
ასე გაცრეცილ ქარაგმებს და იგავარაკებს.

მეც მიყვარს რკინის გველშაპში ფხიზელი თვლემა,
მიმარტოხებლებს, ყოფის გარეთ ყოფნას მასწავლის,
ძილში მიკითხავს განშორების უკვდავქმნილ თემას,
მიცვლის მხარეებს და ლანდშაფტებს მუსიკასავით.

ვეება სხეულს ამოძრავებს ლიქვით და ლირნით,
გამოვარდება გვირაბიდან — თითქოს უკბინეს,
თითქოს იწვისო, გაილეღებს მძინარე ტყის წინ
და, მელოგინე ქალის მსგავსად, ტყეს შეუკივლებს.

გზად ათასობით ბავშვის სიზმრის გამჭოლ გაივლის,
და სათამაშო ელმავალზე ტოვებს ოცნებას,
ზღვისპირა სოფლად მყუდრო სახლის ჩამქრალ აივნის
გასწვრივ ლიმნის და ზეთისხილის ბაღს გამოძებნის,

დიდ ქალაქებში გაიყოლებს ამ ბაღის სევდას
და როცა თავის საბოლოო მიზანს მიაგნებს,
მთავარ სადგურზე გაჩერდება ეს რკინის დედა
და მგზავრებს იქვე იშობიარებს.

მზის ბილიის ანგალონი

ტანით საღამოთა სურათს
იმახსოვრებს ზღვის სარკე,
ზღვაში ნავი მშვიდად ცურავს
ჩამავალი მზისაკენ.

თითქოს ღვინო დაგენუროს —
ზღვაში წვეთავს მზის სახე,
მშვიდი ფიქრის ნავი ცურავს
„უცხო შორეთისაკენ“.

თეთრი ლოცვის აფრას გავშლი,
დარდით სავსე, გზით სავსე,
გავალ კვალში, სულ სხვა ზღვაში —
მზისკენ, მაცხოვრისაკენ.

გრძნობის ანგალონი

იგი შენი ცრემლებს,
გლოვისა და მწუხარების უკანა ტყეში იმალება —
კიპარისებში.
მის ყოფნას გაცემს ნიაგების ნელსურნელება.

როგორც აუზში ანარეკლი (აუზი შენ ხარ),
მოულოდნელი სიხარულის ანწყოთი კრთება
მოუხელთებლად.
კითხვების ნაცვლად პასუხების შესაძლებლობას —
დაახლოებით ამგვარს;
„დიახ,“ „მადლობა,“ „მზად ვარ“ —
ტოვებს ჩვენში და
ექო-ექო
(მოდებული ხსოვნის უფსკრულებს)
უჩინარდება.

როცა ყოფაში ჩამოცხება და უსულობის
გვალვა გვაშრობს,
გვახმობს და გვეფიტავს შიგნიდან,

როდესაც ცხადში ისადგურებს პაპანაქება,
თვალეებს კი ძილი არ ეკარება,
ის იწყებს ჩურჩულს,
ჩურჩული ბადებს
მდინარეებს, რუებს, ნაკადებს.
ის სულს გვიბერავს
და ეს სულის შებერვა ჩვენში
ყოველ შრესა და ნიაღს
გაივლის,
როგორც ხანგრძლივი,
გრძელი სიზმარი.

აზრის ანგალონი

იგი ცამეტი, თოთხმეტი წლისაა მუდამ.
ვერცხლისწყალივით მოქნილი,
ფეხმარდი,
ცელქობის ზღვარზე მოცეკვავე
მკვირცხლი ბიჭია.
თითქოს გოგონაა ბიჭის სამოსში,
ანდა პირიქით —
ბიჭუნა გოგონას კაბით.
კაცად არ ქცეული, ქალად არ ქცეული,
ანგელოსებრივი იერის მიღმა
ფლობს და მალავს
ღვთის ერთერთ სახელს.
როგორ მიყვარს მისი
მოუქანცველი სირბილი,
მისი მსუბუქი და ძლიერი
ტერფების ანაბეჭდი მარმარილოზე,
ქვაზე, ტაძარზე, ფიქრზე,
ჩემში.

მიქაელისადმი

მიქაელ, მოდი და იყავი წინმსწრები,
მზეში ამოავლე სიტყვების ისრები,
მშვილდვით მომდრიკე და ჩემგან ისროლე
სისხლმდენი სიზმრები.

შენი ფრთის ნიაგი სამოთხის ყანების
ცურვა და ტალღა და ნელი რხევანი,
მიქაელ, კიბეა ზეცად ამყვანები
შენი ხერხემალი.

ყინვიან იანვრის მოწმენდილ ცასავით
მკვეთრი და მკაცრია ეგ შენი თვალეები,
რომლებშიც გაგცრია აზრი რამ ნაზავი —
როგორც ვარსკვლავები.

ანიმა II

ოდესღაც ბალი ხეივანით, ახლა ნანგრევი;
კედლები, ქვები, სადღაც კვალი ნამინანქრევი.

ტყე დაბურული, ხავსიანი ქვის შადრევანი,
ტერფი, სანდალი, მოზაიკა. ყურძნის მტევანი.

მზე ფოთლებს შორის, წყარო, დოქი, ჩრდილი მზის მერე,
თმა და თმის სარჭი კეფის გასწვრივ, მძივი, კისერი.

თეთრი კისერი, სახე, ცხვირი მკვეთრი ტეხილით,
ხაზით, ნაკვთებით, შუქრდილებით. მწიფე ხეხილი

მკერდის, რომელსაც სამოსელი ამხელს ტილოსი,
ნელზე დოინჯი, თეძო მკვირივი — მარმარილოსი.

სურათი ძველი, წარუვალი სიზმრის სურათი;
— შენ დგახარ ბაღში წყლის თუ ღვინის სავესე სურათი.

თათნული

სულივით თეთრი ხარ, გამთენია
ცურავ იალქნებით იისფერიით,
სხეულთან გინდა გამთლიანდე,
ეკლები გარს და მიისწრაფვი.

სალამოს მჭვრეტელთაც გაენდობი,
უკვე აღჭურვილი შემოსილი,
ჩნდები, შემოდინარ რაინდვით,
თეთრი გიორგი — ცხენოსანი.

ნათლის მხედრავით სინათლით და
უმანკო ზრახვებით ალიგზნები,
შენი გამოხედვის სიმალლიდან
გვზვერავს უხილავი თარინგული.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ნეტავ, ახლაც ღამე ყოფილიყო ბაიასთან... უკუნი, უსინათლო, უფარსკვლავე, უციცინათლო... ისეთი სიბნელე, სადაც ვერავინ ვერაფერს გაარჩევდა, ოდნავ კონტურებსაც კი, მხოლოდ ხმა იქნებოდა — საღამურის კენესა, ცოდვა — სიზმარით უნებლიე და გაღვიძებისთანავე — გამქრალი.

ნეტავ, ღამე ყოფილიყო ბაიასთან... სულ ღამე ყოფილიყო, უსასრულო წყვილი. კარალიოკის ჩემი რძალი მინც უხმაურად კბენდა და ინისფერი სფერო გლობუსით ველარ იტრიალებდა ჩემ თვალში... ველარ მომადენდა ნერწყვს, ველარ მომანდომებდა მოგზაურობას, ნაკბრებით გაჩენილი კონტინენტებისა და ოკეანეების, მთებისა და მდინარეების შეცნობას...

ბაია და ჩემი ძმა შემოდგომის დასაწყისში მსტუმრობდნენ. ზღვიდან შემომივიდნენ ხოლმე, სულ რამდენიმე დღით. დაწესებული ჰქონდათ მოვალეობასავით... ის სამოცდაათი ან ცოტა მეტი საათი მთელი წელი იყო ჩემთვის — უწყვეტი დრო ბაიადან ბაიამდე — მოლოდინის, ნახვის, მწველი მზის, კარალიოკის კურკისფერი ხალის, ზედ ნამოდებული ოქროს ძეგლის და ნამოგებული ფიქრის: „ჯვარია თუ არა?... ჯვარია თუ არა?“

ქალაქიდან გაუაზრებლად ნამოვდი. იმ ბინაში სამნი თავისუფლად ვეტიოდით, მაგრამ მინც არ მეყო ადგილი, სული შემეხუთა, სივრცე შემეზღუდა. სოფლის ჰაერმა ვითომ მიშველა. ძველ თაროებზე ნიგნები რომ გამოილია, გრამატიკის სახელმძღვანელოც ნავიკითხე. მერე წმინდანთა ცხოვრება ავიღე ხელში. ზღაპრული და ერთმანეთის მსგავსი ბიოგრაფიები გონებაში ამერია, უფლისთვის თავგანწირვა ერთ დიდ გადაბმულ ამბად მექცა, ვინ აწამეს და ვინ თავი იგვემა... ბოლოს გარდაცვლილი დედის კარადაში ლოცვანი და ფსალმუნებიც ვიპოვე. უშინაარსოდ ჩავამთავრე ორივე, ლექსით, ამოსუნთქვა-ჩასუნთქვასავით. ამ რიტმმა არაერთხელ მიმაბრუნა კარადის უჯრასთან. ყოველ ჯერზე ახალი მნიშვნელობა შეიძინა სიტყვებმა, ტექსტი იგივე იყო, შინაარსი — ცვალებადი, თითქოს ჩემზე, პირადად ჩემზე და ჩემი პირითაც კი, მაგრამ თან სულ სხვაზე, სხვებზე, განსხვავებულ ადამიანებზე. გასაგები და ბუნდოვანი ერთდროულად...

დედა, რაც თავი მახსოვს, ყოველ ღამე ლოცულობდა და ამას ფეხზემდგარი აკეთებდა. წლები გადიოდა და დედა მხოლოდ ლოცვის დროს იყო უცვლელი. ნაკვებზე ნაოჭები ობობის ქსელივით რომ მოედო და თვალებიც თანდათან ჩაუქრა, ღამით, მხოლოდ რამდენიმე წუთით, დედა ისევ ძველი დედა ხდებოდა. გაქათათებულ საღამურში ასევე მთელი ნარინჯისფერ თავსაფარს იხსნიდა და უწინდებურად შავი თმით წელამდე იმოსებოდა. თვალეები უჩვეულოდ უბრწყინდებოდა და გამაოგნებლად გაახალგაზრდავებული საღვთო სიტყვებს ჩურჩულებდა. ერთს არ ჩამიუხლავდა. ალბათ, არ იცოდა, რომ ტექსტის ბოლოს მიწერილი სიტყვა „მეტანია“ პირჯვართან ერთად დაჩოქებასაც გულისხმობს; არც ის იცოდა, რომ ჩვენი წესებით, ქალმა ლოცვისას თავი უნდა დაიბუროს... ან იქნებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ სწორედ ასეთი მშვენიერი უნდოდა, ჩვენებოდა ღმერთს.

ლოცვანს მეც ფეხზემდგარი ვკითხულობდი. საკუთარ ჩრდილზე შევნიშნე, რომ ოდნავ ვირწეოდი. რიტმული მოძრაობა, ალბათ, აზრებისგან გათავისუფლებაში მეხმარებოდა. მეც ეს მინდოდა, ფიქრისგან, სურვილებისგან დაცულა.

თუმცა ბაია მინც იყო. იმ შემოდგომაზე ჩემს რძალს ერთი ღერი ჭალარა გამოერია. გვერდზე გადაყოფილ თმაზე სირმასავით დაჰყვა ყურის ბიბილომდე. დანარჩენი იგივე იყო: ბავშვური, მომღიმარი სახე, მკვრივი სხეული და უდარდელი მიხრა-მოხრა. ასეთი ლალი მოძრაობები მარტო ახალგაზრდა უშვილო ქალს შეიძლება, ჰქონდეს. ვერ ვიჯერებდი, რომ ბაია არ ფეხმძიდებოდა, არც პირველი და არც მეორე ქმრისგან — ჩემი ძმისგან, დათოსგან. ჩვენ კი გვეყოლა ბავშვი — რამდენჯერმე — ცხადივით სიზმარში. ახალნამ-

შობიარებ ბაიას თმა კიდევ უფრო უწითლდებოდა, არეული ღერები კაპილარებით ეკვროდა დაცვარულ საფეთქლებზე. ხელში ჩვენი პირმშო ეჭირა, რომელსაც სრული სიზუსტით გადასდებოდა დედის ღმილი. პატარა თავი ოქროსფერი ღინღლით ჰქონდა დაფარული. ყიფლიბანდზე ვუყურებდი და ვფიქრობდი: მოუშუშებელი შარავანდედი — ანგელოზია!

ზოგჯერ კი უბრალოდ კარალიოკის ხე ან ზენიტში მყოფი მზე და ჩვენი სახლის ნითელკრამიტანი სახურავი მესიზმრებოდა. ახალგაღვიძებულმა ვიცოდი, რომ თვალდახუჭულმა ისევ ბაია ვნახე. ზამთარში, როცა ნაკვერჩხალი მისი თმისფრად ღვიოდა, მაშინაც ვგრძნობდი, რომ ბუხარს კი არა, ბაიას ვუყურებდი.

ეკატერინე ტოგონიძე

წმინდა შესაქლებლობა



ავთანდილ გაბოკიძის ნახატი

დავიღალე. შემეშინდა. **ცოტნა** **კაცი, რომელიც მიატოვეს** *მე შემეზღუდა შესაძლებლობა და დავკარგე თავისუფლება.*

მანამდე სიზმრებს ვერ ვხედავდი. ღამდებოდა და ქუთუთოებს მიღმა წყდებოდა მოძრაობა, ქრებოდა სინათლე. ადრე ცხოვრება იყო სპექტაკლი ან კინო, ძილი კი — რეჟისორული, შვიდსაათიანი სიკვდილი. ახლა პირიქითაა. სიცოცხლე გახდა სიკვდილი და გაცოცხლდა ღამე. ადამიანებმა, ნივთებმა, შენობებმა, მთებმა, მანქანებმა, სურათებმა, სეზონებმა და დრომ სიზმრებში გადაინაცვლეს.

გათენებას ვიყნოსავ მხოლოდ და ვისმენ. მზეს კანით ვინოვ და თითის ბალიშებს ვუფრთხილდები, რომ ასე მინც დავიბრუნო ნართმეული სამყარო.

რამდენიმე თვით ადრე გამაფრთხილეს, მოვმზადებულიყავი. მითხრეს — ჩათვალე, რომ ერთი ქვეყნიდან მეორეში მიდიხარ, ჩვენ მოგიყვებით იმ ქვეყანაზე, გასწავლით იქაურ წესებს, ჩემოდანი უნდა ჩაალაგო და საგზალი გაამზადო — თანამედროვე ექიმები და ფსიქოლოგები ხომ ყველაფერს მხატვრულ-კორექტულ სახელს უძებნიან, უტიფარი თავდაჯერებით გელაპარაკებიან იმაზე, რაც თავად არასდროს გამოუცდიათ.

მომიჩინეს სივრცეში ორიენტაციის ინსტრუქტორი და ბრაილის ანბანის სწავლაც დამაწყებინეს. ერთ-ერთ სეანსზე დამიბნელეს ჯერ კიდევ მხედველი თვალეები, გამოიკეთეს შავი სახვევი, ეგრეთ წოდებული სიმულატორი და ოთხმოცდაათი წუთით წინასწარ გადაამასხლეს „სხვა

ქვეყანაში“, სადაც შუქი აღარ ვრცელდებოდა სამასი კილომეტრ-ნამში, არც ორასი ან ასი... არც ერთი...

თერაპია სოლიდური თანხა მიჯდებოდა და, როგორც ყველაფერი, რამაც ფულს ვიხდით, ფასეული მეჩვენებოდა.

ბრაილის შრიფტის სწავლა გამიჭირდა. თეთრ ნიგნში ამობურცულ ნერტილებს სქელლინზებიანი სათვალთ დავშტერებოდი და თითებზე მეტად თვალთ ვცდილობდი დაშიფრული ასოების ამოცნობას. დიდხანს ვერ ვუძლებდი, თავი მტკიოდა. მასწავლებელზეც ნერვები მეშლებოდა — განუწყვეტილ, გულგრილად იმერებდა — ფურცელს ნუ უყურებ, თითებით იკითხე, ტაქტილურად შეიგრძენიო.

შავი სათვალე ცოლმა მიყიდა. ადრე სპორტულ მაღაზიაში წყლის და სათხილამურო სათვალეების შესარჩევად ერთად

ვფლობ და მერე ყველაფერი სრულდება... საკუთარი თავის მსხვერპლი ვარ.

ერთხელ სამსახურში შეტყობინება მოვიდა, რომ საერთაშორისო ფონდის კონკურსში გავიმარჯვეთ, დიდი გრანტი მივიღეთ. ამ პროექტის ხელმძღვანელი მე ვიყავი. ორი სამუშაო დღე ჩავარდა, თანამშრომლები სიხარულით ჭკუიდან გადავიდნენ, ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ნეტავ, მეც ასე ძლიერად მსურდეს რამე — მქონდეს მიზანი, რომლის მიღწევაც გამაბედნიერებს!“

მალევე გავიგე, რომ ნაშვილები ვიყავი. მსგავსი ეჭვი არც ასაკოვანი მშობლები-სგან მკვეთრად განსხვავებული გარეგნობის გამო გამჩენია და არც მეზობლებისა თუ თანატოლებისგან ბუნდოვნად ჩარჩენილი ავი რეპლიკებით. მეორედ რომ გავთხოვდი, ეს ამბავი ნათესავმა მომახალა და მაშინვე დავიჯერე. დედა და მამა უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები, რომ მეკითხა. ან რად მინდოდა?! ცხადზე ცხადი იყო. ნათესავებთან აუწყობელი ურთიერთობა, გარშემომყოფების გადამეტებული

დავდიოდით. ესეც იმათსავით დახურული იყო, თვალისაფეთქიდანაც აღარ მიჩანდა. მაღაზიაში ბაია მარტო წავიდა, თითქოს მე სიარული არ შემიძლო... თანდათანობით სულ უფრო მეტ გადამწყვეტილებას იღებდნენ ჩემზე უჩემოდ. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ თამაშს ვეთიშებოდი... სათვალის ზომა ზუსტად შეურჩევია — სპეციალურად ჩემთვის შექმნილი ნილაბივით მომეკრო ცხვირზე, უბებზე, საფეთქლებსა და ყურებზე. ნილაბი იყო, აბა, რა? ჩემი ცოლი, ალბათ, უმეტყველო თვალეების ყურებით დაიღალა, თორემ ეს შავი სათვალე მე არაფერს მშველოდა.

ინერციით მივეყვებოდი გზას, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ ჩემი გასავლელი იყო და მოჩვენებით მსლებლებზე გული მერეოდა. აშკარად მაჩქარებდნენ, დროზე ადრე მემშვიდობებოდნენ, ძველ სურათებს მათვალისწინებდნენ... მაშინაც კი, როცა მეგობრებთან ერთად სადმე მივდიოდით, ვგრძნობდი, რომ გართობაზე მეტად ჩემ გარშემო ტრიალებდნენ, გარემოს მამახსოვრებინებდნენ, რაღაცის ჩვენებას ასწრებდნენ... ამით ახალადგილს მიჩენდნენ და უსინათლოს წინსწრებით მარქმევდნენ. ჰო, ასე იყო! მე ჯერ კიდევ ვხედავდი და ჩემი თვალთ ვნახე, რომ თავიდან მიცილებდნენ.

ბაია **ქალი, რომელიც უყვარდათ**

ვერ შევიზღუდე სურვილები და მე ისინი ამიხდა.

ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც მე მინდა. უბრალოდ, სურვილებს ვერ ვმართავ, სიტყვებს ვერ

ყურადღება, ზოგჯერ უთქმელი, განწყვეტილი ფრაზები, ჩემი მშობლების კეთილშობილების ხაზგასმა, „რაც თქვენ ამ ბავშვისთვის გააკეთეთო“, დედაჩემის სურათებში აღუბეჭდავი ორსულობა და სადღეგრძელოებში, ლიტრობით ღვინოში გამოჟონილი სიტყვები — „თქვენი შვილია, რაც არ უნდა იყოს... თქვენი გამგრძელებელია...“

მე უფრო ზედმეტსახელი აგანიოკა და ჩემს დანახვაზე სამჯერ გადაფურთხება მანუხებდა ბავშვობაში, ზრდასრულობაში კი მამაკაცების გაუნელებელი ინტერესი და კიდევ ათასი დეტალი, რომელიც მუდმივად მიჩენდა უცხოობის განცდას, თითქოს სხვა ვიყავი, გასხვობილი... ერთ დიდ საერთო მოზაიკაში ჩავადნინილი მჭახე ფერის ქვასავით უადგილო.

ცხოვრებული მშობლების მადლიერი დავრჩი. ნამდვილი დედაჩემი კი ერთ რიგით ჭურჭლად აღვიქვი, რომელიც ჩემსავით მიიზიდავდა პირობით მამას ჟღალი თმითა და ღია თავლისფერი, თბილი თვალებით. ჩემსავით ჩამოეღვრებოდა ცხელი ცრემლები ჭორფლზე ორსულობის ამბის გაგებისას, დაებერებოდა კერტები, მკერდი, მუცელი და, ჩემგან განსხვავებით, უარის თქმის ძალას ცხრა თვემდე ვერ იპოვიდა. ჰო, განსხვავება მხოლოდ დროში იყო, ვის რამდენი დასჭირდა შვილის უარსაყოფად.

განა, არ შემძულდა?! შემძულდა მთელი არსებითა და ჩემს საკუთარ თავში მისი არსებობითაც.

ამ ამბავმა რაღაც დროით სიმშვიდეც კი მომგვარა. ჩემს მუდმივ დეპრესიას და შფოთვის ობიექტური მიზეზი მიეცა, სახელი დაერქვა. თავი შემეცოდა... და ნელ-ნელა მიზანიც გამოიჩინდა.

დასაწყისი პირველ გვერდზე

გელორდა ჩემი პირველი ძმაკაცი იყო, ვინც გარდაიცვალა. მანამდე ცოცხლები ვიყავით და როცა ერთად შევიყრებოდით, ვხუმრობდით — „ნითელ წიგნში ვართ შესატანები — საბურთალოზე, ბახტრიონზე, გავიზარდეთ და აქამდე ვსუნთქავთო...“ გელორდას სიკვდილის მერე გავჩუმდით. იმ დროს, ძალიან ცუდი დრო იყო, ქვეყანა იქცეოდა, სისხლი ღვარად მიდიოდა, ჩვენ კი 1999 წლის სექტემბრამდე, რაღაცნაირად გვიმართლებდა. რამდენჯერმე გადავრჩით, ერთად თუ ცალ-ცალკე და როგორც ძალიან ხშირად ხდება, ჩვენგან პირველი სწორედ ის წავიდა, ვინც ყველას ყველაზე მეტად გვიყვარდა — ყველაზე წყნარი, კეთილი და ღონიერი იყო და ყველაზე ნაკლებად იმსახურებდა სიკვდილს, თუ როგორ ვთქვა, ყველაზე მოულოდნელი სწორედ მისი სიკვდილი იყო. თანაც ავარიამი და თანაც 1999 წელს, როდესაც თითქოს ყველაზე სახიფათო პერიოდი გამოვიარეთ. იყო დაჭრები, დაჭრები, სროლა, ლენვა-მტვრევა, ოხრად შარი. მარტო 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის სამოქალაქო ომი და იქ რუსთაველზე მთელი ორი დღით ჩარჩენა თქვი, როგორია?! 16 წლის ბიჭები რომ ეგვით ამბებში გაეხმებოთ. არადა, გადავრჩით, გვეგონა, რომ გადავრჩით, თითქოს გამოვძვრით, უკვე 24-25 წლისები ვიყავით და — ვერა. რას გადარჩებოდა... თან ეგრე უაზროდ, ავარიამში, აქვე, იგოეთამდე არმისული. მძლოლმა მანქანა ვერ დაიმორჩილა, გზიდან გადავიდა და ვაშლის ხეებში შევარდა...

გელორდა ბუზღუნების ეზოში ცხოვრობდა. ვაჟასა და პავლოვს შორის არის ეგ ეზო, „ნითელი ბაღის“ ანუ „ბლიადსკი პარკის“ პირდაპირ, 52-ე სკოლის გვერდით. მაგ ეზოში ჩვენი კლასელი გოგონებიც ცხოვრობდნენ. თვა ცერცვაძე და მაკა კორკელია. ბავშვობის კლასის ფოტოებზე, პირველ, მეორე და მესამე კლასებში, გელორდა, რომელიც, მაშინ ჯერ კიდევ ხაჩიკა იყო, კლასელებში ზის გამხდარი, გაჩხიკინებული. როგორც წესი, ხელები მუხლებზე უდევს და გიყურებს დიდი და სუფთა, კეთილი და გულუბრყვილო თვალებით.

ბავშვობაში სუსტი იყო. სადღაც მე-4, მე-5 კლასამდე. ძალიან სწრაფი და მოხერხებული, მაგრამ სუსტი. ერთ მშვენიერ დღეს კი ვარჯიში დაიწყო. მგონი, მე-5-დან მე-6 კლასის ზაფხულში. კარნიზს ჩამოეკიდა, კარაობა დაიწყო და მას მერე მთელი ცხოვრება ვარჯიშობდა. სექტემბერში, სკოლაში რომ დავბრუნდით, უკვე მხეცივით იყო, მთელ კლასს ხელს გვიწევდა, მაგარ ჯანზე მოვიდა, მაგრამ ხასიათი ოდნავაც არ შესცვლია, სუფთა, კეთილი, გულუბრყვილო და რაღაცნაირი, სხვანაირად ნათელი...

მე-7 კლასში რომ ვიყავით, გელორდას მშობლები დაშორდნენ. მამამისი ვილაც ქალთან წავიდა. გაშორებული მშობლების მეტი რა იყო, მაგრამ გელორდამ ძალიან განიცადა, ძალიან მძიმედ გადაიტანა ეს ამბავი.

ერთი წლის შემდეგ დედამისი — ლეილა დეიდა — გარდაიცვალა და გელორდა თავის ძმებთან ერთად სულ მარტო დარჩა მოხუცი მეგრელი ბებუის ანაბარა. ერთი წლის შემდეგ უფროსმა ძმამ — კუსამ — სკოლა დაამთავრა და ფოთში, თავის დედულეთში გადაბარგდა. დარჩნენ მარტოები — გელორდა, მასზე ერთი წლით უმცროსი ძმა პაატა, პატიკო, და ბებია.


მე-8 კლასში ვიყავით, 1988 წელი იყო და ყველაფერი მხოლოდ ეხლა იწყებოდა. გელორდა მარტო უფლავდა პაატას, ბებუის და საკუთარ თავს. იმ პერიოდში მთელი საძმაკაცი მის სახლში ვიკრიბებოდით და ბებია ჩუმ-ჩუმად მეგრულად გვწყევლებდა.

გელორდა ამ ყველაფერს ძალიან განიცდიდა, მაგრამ გარდატეხის ასაკის, მისი უბედური ფიზიკური ჯანისა და ამდენი ტკივილის და უბედურების მიუხედავად, ოდნავადაც კი არ შეცვლილა, ისევე ისეთი ბავშვური, ერთგული და კეთილი დარჩა. სადღაც მე-8 კლასიდან ჩვენთან ერთობითზე ჩხუბი შემოვიდა მოდაში. ვჩხუბობდით ზამთარში სკოლის უკან, ან საირმეზე, საცურაო აუზის ეზოში, გაზაფხულზე და შემოდგომამდე კი „ნითელ ბაღში“, ან იპოდრომზე. ჩვენგან ყველაზე ხშირად გელორდა გადიოდა საჩხუბრად და ყოველთვის იმარჯვებდა. არა, არ ვაჭარბებ, მართლა ყოველთვის იმარჯვებდა.

თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, ძალიან არ ეხალისებოდა ეგ საქმე. მოგეკლა და საჩხუბრად არ გაგეყვანა. არ უნდოდა, რა. არ უყვარდა ჩხუბი. არადა, მაგრამ ჩხუბობდა, სწრაფი, მოხერხებული და ღონიერი იყო. სწორად, პატიოსნად, გამოზომილად და ყოველგვარი სისასტიკის გარეშე ურტყამდა. ჩხუბის წინ და ჩხუბის დროსაც ყოველთვის მშვიდი, მაგრამ მოწყვნილი და შეწუხებული სახე ჰქონდა. ვალს იხდიდა რა, ზუსტად, აი, ისე, დივანზე წამოკოტრილავდნენ მოხუცი მეგრელი ბებია რომ წამოაგებდა და პურზე აგზავნიდა. ეზარებოდა — აუუუ! რა ჩავა!... მაგრამ საჭირო იყო და მორჩა. აი, ეგრე ჩხუბობდა. და ამის მიუხედავად, მაშინდელ საბურთალოზე, ნამდვილი ქუჩის სამოქალაქო ომების დროს, როცა შუა ეზოში და სადარბაზოებში ნამდვილი შეიარაღებული შეტაკებები იმართებოდა, 14-16 წლის ბიჭებს მტრები გვყავდა, ამ სიტყვის პირდაპირი და ნამდვილი მნიშვნელობით და სრულიად სერიოზულად და ამაყად ვაცხადებდით: „მანდ მე ვერ გამოვივლი, მტრები მყავს, ძმაო...“ გელორდას, მისგან გალახული ადამიანებისგანაც კი, არა მარტო მტერი, ერთი ავის-მოსურნი არ დარჩენია. არა მარტო არავინ

ბექა ქურხული

ჩემი ძმაკაცების სახელები



დასხმია თავს და არ გაუმეტებიათ, ერთი აუგიც კი არავისგან გამოიგია, თუნდაც ხუმრობით, თუნდაც ისე, შეფარულად და იაზურად ნათქვამი. მე არ მახსოვს. მართლა არ გამოიგია და გულში ვინ რას ფიქრობდა, ნამდვილად არ ვიცი.

ამასობაში სკოლა დავამთავრეთ. მახსოვს, გამოსასვები გამოცდისთვის როგორ ემზადებოდა. ქართულ წერაში გვექონდა პირველი გამოცდა. მივედი, ვხედავთ, გელორდას წინ გაზეთი უდევს — „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ თუ „სოფლის ცხოვრება“, სხვა რა ჯანდაბა იქნებოდა მაშინ — და იქიდან რვეულში იწერს რაღაცას, ჯახირობს, ოფლი ჩამოსდის. ვაოგნებისაგან პირი დავაღვეთ, ვიდექით ეგრე მტერებით, ვერ მივხვდით, რას აკეთებდა და საერთოდ, პირველად დავინახეთ, რომ გელორდა რამეს წერდა...

— რას შეგები, გელორდა, ტო?.. — ვკითხვით ბოლოს, აზრზე რომ მოვედით.

— რა რას ვშვებები, თქვე მტერებო, ზეგ ქართული წერაში გამოცდა არა გვაქვს? რამე ხო უნდა დავწერო, რომ დავამთავრო ეს ჩემის სკოლა და ვაფშე ხელს ნუ მიშლით. — თქვა გელორდამ მკაცრად, საცოდავად ამოიხვნეშა და წერა განაგრძო. არასოდეს დამავიწყებდა, როგორ ხაზავდა ასოებს.

ვახ, რამდენი ვიცინეთ. იმდენი ვიხვივინეთ, ბოლოს ოქროს გელორდაც კი გაბრაზდა და სუ პანდურებით გამოგვყარა სახლიდან, რომ იცინით აზრები მეფანტებო.

იმავე ზაფხულს ჩემი პირველი ჩანახატები დაბეჭდა გაზეთ „მამულში“ ვაჟა გიგაშვილმა. რაღაც ბიჭური ტისკები იყო, რაღაცებს ვბლატობდი. აღარ მახსოვს. 23 წელი გავიდა მას შემდეგ. ერთ-ერთი ჩანახატი გელორდაზე იყო, ასევე ერქვა — „ხაჩიკა“. ბიჭებმა უთხრეს, ქურხულმა შენზე დანერა, ცუდადა გაქვს საქმეო. ერთი კვირა მოსაკლავად დამსდევდა. რა მოსაკლავად, გელორდა მე კი არა, მტერს ვერ გამოვიკიდებოდა და გაიმეტებდა. ორივენი ვფორსობდით. ბოლოს სახლში დამიჭირა, ბიჭებიც ჩემთან იყვნენ — რა გინდა, შე ჩემა, ჰა, ნახე-მეთქი. თან ყველანი სიცილით ვკვებოდით. ნახა. „ე, მართლა დამბეჭდეს გაზეთში, მეგონა, ესენი მე-კაიფებოდნენ“ — თქვა გელორდამ და გაზეთში რამდენჯერმე ხმამალა წაიკითხა სათაური — „ხაჩიკა“. თქვა მერე: „ხაჩიკა“, „ხაჩიკა“... გამიგონა ისევე. აშკარად კმაყოფილი დარჩა. მეტი არ წაუკითხავს არც მაშინ და, მგონი, არც მერე. მგონი, არც არასოდეს. „ხაჩიკა“ — კიდევ ერთხელ წაიკითხა სათაური, გაზეთი დადო და მის გარშემო შემოკრებილ ახარხარებულ ბიჭებს სათითაოდ შემოგვხედა. ახალდაბადებული ბავშვივით, ცნობისმოყვარედ და გულუბრყვილო ინტერესით გვიყურებდა, თითქოს თითო-თითოდ გვიმხსოვრებდა, რომ აღარასოდეს დავავინწყ-

ნამდვილი, ტოტალური ომი, სამოქალაქო, ეროვნულ-გამათავისუფლებელი, ომი რუსებთან, აფხაზებთან, ოსებთან, ისევე რუსებთან, ერთმანეთთან, საკუთარ თავთან, მერე ისევე საკუთარ თავთან, მერე ისევე საკუთარ თავთან და ეს ომი აღარასოდეს დამთავრდება.

არ ვიცოდით. მაშინ არ ვიცოდით. საიდ-ან უნდა გვეცოდნოდა?

გელორდა, ჰონორარი ავიღე და ოლონდ არა მცემო და „ზა მარალი უშჩერბ“ სახინკლეში მიმყავხარ-მეთქი — ვუთხარი.

— ვა, ამაში ფულიც მოგცეს? ეგრე ცოტაში მოგცეს სახინკლის ფული? კიდევ დანერე მერე, შე ჩემა, თუ ფულსაც იძლევიან. კვირაში ერთხელ რო დაგიბეჭდონ, ყოველ კვირას სახინკლე განადგებული გვაქვს. — წავიდა ოცნებებში გელორდა.

სასტუმრო „აფხაზეთი“-ს ქვეშ რომ სახინკლე იყო, იქ ჩავყვარეთ.

ახლა აღარც სასტუმროა და აღარც არაფერი. გახსოვთ სასტუმრო „აფხაზეთი“ და ის სახინკლე? ლტოლვილები ცხოვრობდნენ. ძირითადად ცხინვალიდან, შიდა ქართლიდან და სამარაზლოდან ლტოლვილები. მერე სასტუმრო „აფხაზე-

თი“ დაანგრის და ლტოლვილები ქუჩაში გაყარეს.

მაშინ ეს ყველაფერი ჯერ არ ვიცოდით. უბრალოდ, ფული ვიშოვეთ და იქვე უბნის სახინკლეში ჩავქანდით...

16 წლისები ვიყავით. მეტის არა... სკოლის მერე გელორდაც ფოთში წავიდა უფროს ძმასთან და დავგვეკარგა. იმ ომში და ბაგა-ბუგში აქა-იქ თუ ვანვდენდით ერთმანეთს ხმას, რომ ცოცხლები ვართ.

რამდენიმე წლის მერე დაბრუნდა. მაგრამ ვაგვიხარდა. თვითონაც ბედნიერი იყო. დასავლური კილო დაედო, ფოთურად უქცევდა და ეს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

ფოთიდან ჩამოსვლის შემდეგ გელორდა, ძირითადად, სახლში იჯდა, პლედი ჰქონდა შემოხვეული და ტელევიზორს უყურებდა. ან ჩვენ უნდა ავდგომოდით, ან მელას უნდა გამოველო თავისი შვინდისფერი „ნოლსემით“ და მერე მთელს უბანში და მთელს ქალაქში დაბორიალობდნენ, როგორც მელა სამართლიანად აღნიშნავდა — „ნი ზა ფიგა საბაჩი...“

ზუსტად იმ 1999 წლის გაზაფხულზე მისმა უმცროსმა ძმამ, პატიკომ ცოლი მოიყვანა. გელორდამ მაგრად ინერვიულა, ყველაფერი კარგად დამთავრდა. გელორდა მაგარი გახარებული და ბედნიერი იყო. იჯდა თავის დივანზე, ქრელი პლედი ჰქონდა შემოხვეული და თითებზე ითვლიდა, როდის გახდებოდა ბიძა.

მაშინ, 1991 წლის ზაფხულის მაგარ, მზით დატენილ დღეს, რა თქმა უნდა, ამ უბედურებაზე, საიქიოს მრუმე ჩრდილებში, გელორდასთან ჩამოკიდებულ, ჩვენს ფოტოებზე სულაც არ ვფიქრობდით. 16 წლისები ვიყავით და სრულიად დარწმუნებულნი ვიყავით, რომ არასოდეს მოვკვდებოდით არც ავარიით, არც ტყვიით, არც დანით და არც წყალდიდობით.

აბა, როგორ უნდა მოვმკვდარიყავით? რანაირად? არ არსებული იყო. და მთელი სამყაროც ჩვენ გვეკუთვნებოდა. ჰა, რა, არა, ბიჭო?..

აი, ეგრე იყო. აი, ეგრე გვეგონა. ვისხედით ბედნიერები და ყველას რაღაცა გვიხაროდა. გელორდას უხაროდა, რომ გაზეთში წაიკითხა თავისი ბავშვობის მეტსახელი „ხაჩიკა“, მე მიხაროდა, რომ გელორდამ წაიკითხა თავისი ბავშვობის მეტსახელი „ხაჩიკა“, ბიჭები ბედნიერები იყვნენ იმით, რომ... რავი... თითქოს ყველაფერი კარგად იყო და ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, წარმოდგენა არ გვექონდა, რომ სულ რამდენიმე თვეში დაიწყებოდა ომი.



სხვენი

მოდი, თანავეგრძნობო ჩვენზე იღბლიანებს.
მოდი, მეგობარო, გავიხსენოთ,
რომ მდიდრებს მხოლოდ ლაქები ჰყავთ,
როგორც ჩვენ – მხოლოდ მეგობრები.
თანავეგრძნობო ცოლიანებს და უცოლოებს.

განთიადი მოიპარება
ფეხაკრეფით, როგორც პავლოვა¹,
და მეც ახლოს ვარ შენთან, სურვილო.
არაფერია ცხოვრებაში უფრო ძვირფასი,
ვიდრე ეს წამი წმინდა სიგრილის,
ეს წამი ერთად გამოღვიძების.

ბალი

En robe de parade²
სამაინი³

ალაღბედად, როგორც კედელს აკრული ძაფი,
გაბრუებული მოაზრებებს კენსინგტონის გალავნის გასწვრივ
და გზადაგზა თითქმის კვდება
ემოციური ანეზიის რომელიღაც უცნობი ფორმით.

მის მახლობლად ხმაურობენ
ლატაკების ჭუჭყიანი, ღონიერი, უკვდავი ბავშვები.
მათ დარჩებათ დედამინა.

მასშია მოდემის ალასარული.
მისი სევდა ჭარბია და დახვეწილი.
მას ჭირდება ხმისგამცემი
და თითქმის შიშობს, რომ სწორედ მე ვარ
ის, ვინც ჩაიდენს ამ უხამსობას.

სხვისი ცოლი

მისი სახე იყო გაცრეცილი,
თითქოს ეს-ესაა ნაყოფი მოაცილეს.

მისი სახე იყო მშვენიერი, როგორც მარმარილო,
ვიდრე მოქანდაკე გადანმენდს მტვერს.

მაგრამ მაინც მიხაროდა, რომ მე კი არა, შენ იყავი
ის, ვინც ეს ქალი პირველ ქმარს წაართვა.

ვილანელა: ფსიქოლოგიური ნუთი

I
გადავამლაშე ამბის მზადება,
შედეგი იყო ავბედითი.
შუახნის კაცის გულმოდგინებით
გადმოვდე მხოლოდ საჭირო წიგნები,
ცოტაც და, ფურცლებს ჩაკეცავდი.
სილამაზე იშვიათი ფუფუნებაა,
ჩემს შადრევანს რჩეულები ენაფებიან.

რამდენი არასაჭირო ნუხილი,
ფუჭად გაფლანგული რამდენი საათი!
ახლა ფანჯრიდან გავყურებ წვიმას,
ავტობუსების ზოზინს.

„მათი პატარა კოსმოსი შეირყა“ –
ჰაერიც თითქოს გამოცოცხლდა.
ქალაქის მათ მიერ არჩეულ ნაწილში
ისინი იქცნენ სათამაშოდ მოქიშვე ძალების.
საიდან ვიცი?
ბევრი ვიცი.
ვიცი, მათ რაღაც უთვალთვალებს.
ხოლო ჩემსას თუ იკითხავთ – მე
გადავამლაშე ამბის მზადება.

სილამაზე იშვიათი ფუფუნებაა,
ჩემს შადრევანს რჩეულები ენაფებიან.

ტყის სუნთქვა: ორი მეგობარი
მეგობარი? განა ნაკლებად მეგობრობენ
სხვები, რომლებიც შეამჩნიეს?
ორჯერ შემპირდნენ, გენვევითო.

სილამაზე ჩემს გონებას ენაფებოდა.
ახალგაზრდობა მიბინდავდა მესხიერებას.
მე დამტოვა ახალგაზრდობამ.

II
(ალაპარაკი! რატომ ჩანდი შებოჭილი, როცა ცეკვავდი?
ვილაცას მოსწონდა შენი ნაწერები
და ეს გულწრფელად მოგახსენა.

პირველ ღამეს
სულელურად ლაპარაკობდი?
და იგივე განმეორდა შემდეგ საღამოს?

ისინი ისევ მპირდებიან,
რომ ხვალ, ხუთისთვის.

ეზრა პაუნდი



III
აი, უკვე მესამე დღეა,
არაფერი მსმენია მათგან;
არცერთისგან არცერთი სიტყვა.
მხოლოდ წერილი სხვა კაცისგან:
„მისტერ პაუნდი, მე ვტოვებ
ინგლისს“.

AMITIES⁴
მხოლოდ
ძველი მეგობრები. –
უ.ბ.ი.⁵

I
ერთს, წლების შემდეგ დაბრუნებულს.
ძველებურად მოხდენილი გეცვა სამოსი,
არ იმჩნევდი ალტაცებას ჩემი მიღწევებით,
მაგრამ ძველებურად მონყალე მზეერაში
ილანდებოდა შიშით:
იქნებ მე თვითონ ვტკბებოდი ამით.
Te Voilà, mon Bourienne⁶, უკვდავებას შენც
ელირსები.

II
მეორეს.
მშვიდობით, გეტყვით შენც,
რადგან თვითონ ვერაფრით ხვდები,
როგორი პარაზიტულია შენი მიღგომები;
ჩვენს ნადიმებზე არასდროს ბრწყინავდი
არც იუმორით, არც ხალისით, არც შეგირდული
მადლიერებით.

III
შენ კი, bos amic⁷, შეგინარჩუნებთ,
რადგან ყველანი ვალში ვართ შენთან:
მიუხედავად უამრავი აშკარა ნაკლის,
შენ გვაპოვინენ ეს იაფი, მყუდრო დუქანი.

ბარძნული ეპიგრამა

დღე და ღამე არ იღლებს.
და არც ღმერთი, რომელიც ქმნის
მეჩირაღდნეებს დღისა და ღამისთვის –
ტავერნებსა და სასტუმროებს.

და როცა დამლღის ხოტბის შესხმა დღისა და
ღამისთვის,
ალარ მეძებო უკვდავთა შორის,
მიმთვალე უძღურებს და უსარგებლოებს.
მე კი ვიქნები უდრტივინველი, როგორც ნახირი,
როგორც ბაზარზე გაცვლილი მონა.

ფრანკისკა

შენ ღამიდან გამოდიოდი
და ყვავილები გამოგქონდა.

ახლა გამოხვალ მშფოთვარე ბრბოდან,
შენზე მოჩურჩულე ბრბოდან.

და მე, რომელსაც მინახიხარ პირველქმნილ საგნებში,
მანრისხებდა გავონება შენი სახელის
ასეთ უბადრუკ ადგილებში.
მაგრამ თუ ცივი ნიაღვარი ჩემს ტვინს დატბორავს,
თუ სამყარო გაიგვება, როგორც მკვდარი, ხმელი
ფოთლები,
გაიძარცვება, როგორც ქარში ბაზუნავერა,
იქნებ ისევ გელირსო
მარტოს.

ERATHORA⁸

„მადლობელი ვარ, რაც გინდა მოხდეს“ –
თქვა და შებრუნდა,
და, როდესაც ყვავილებზე დაფენილი მზის სხივები
გაიფანტნენ, საბოლოო ნარჩენებიც ქარმა გახვეტა,
უხმოდ გამშორდა. მართალია, რაც გინდა მოხდეს,
მზე მთელ საათს დაგვნათოდა; ვერცერთი ღმერთი
ვერ დაიკვივნის, რომ ოდესმე შესწრებია რამე უკეთესს,
ვიდრე იყო იმ საათის, მიმავალის, თვალთ გაცილება.

არჩევანი

მართალს ამბობენ, რომ ღმერთები უფრო გეჭირდება,
ვიდრე ელფები.
მაგრამ მე ხომ მინახიხარ ამხედრებულ
თეთრ და მალალ, მშვენიერ ცხენზე,
როგორც უცნობი დედოფალი ერთი ზღაპრიდან.

მეუცნაურა გრძელი კაბა, რომელიც გეცვა,
და ყვავილებიც, თმაში ჩანწული;
მეუცნაურა შენი სახის გარდასახვა –
სხვა ქალს რომ ჰგავდი; და ეს მტანჯავდა.
მეუცნაურა, რომ მიეფარე
ღრუბელს ისეთი ქალებისას, რომლებიც აღარ
მალეღვებენ.

მაგრამ მე რა ვქნა, ქარნაღებულ ყველა ფოთოლს
თვალს რომ ვაყოლებ?
თუმცა თქვენ მეტყვით, რომ ახია.

ეპიგრამები

I
სპილოსძვლისფერი, თლილი ხელები!
სახე, რომელიც ჩნდება და ქრება
ამდენ იყოს და იქნება შორის.
შენ – სპილოსძვლისფერი – იყო,
შენ – ვარდადქცეული – იქნება.

II
(შუშის ზღვა)
გავიხედე და ვიხილე ზღვა,
გადახურული ცისარტყელებით.
ყოველი მათგანის თაღქვეშ
შეყვარებულები ხვდებიან და შორდებიან.

მოულოდნელად ცა ივსება სახეებით,
მათ მიღმა იგულისხმებიან ოქროს სიტყვები.

N.Y.

ჩემო ქალაქო, ჩემო თეთრო შეყვარებულო, მშვენიერო,
მომისმინე, მომისმინე! და სულს შთაგბერავ.
ყური მიუგდე ჩემს სალამურს, და გაუყურდი.

თვითონაც ვიცი, რომ შემშალეს
თავბრუდამხვევ მოძრაობას აყოლილმა მილიონებმა.
სადღა არის ის გოგონა.
რომც მქონოდა სალამური, ვერ დაუეკრავდი.

ჩემო ქალაქო, შეყვარებულო,
ჩემო გოგონავ, ძუძუები ძლივს რომ გემჩნევა,
სიფრიფანავ ვერცხლისფერი სალამურივით.
მომისმინე, მომისმინე, და გამიყურდი.
და მე ისეთ სულს შთაგბერავ,
არასოდეს აღარ მოკვდები.

გომონა

ხემ შემოალო ჩემი ხელები,
ცვარმა დაალობ ჩემი მკლავები.
ხემ გაიდგა ფესვები გულში:
ღერძი – მკერდშია,
ტოტები კი გამოწვდილან, როგორც მკლავები.

ხე ხარ.
ხავსი ხარ.
ია ხარ ქარში.
ბავშვი – სულ მალა – ისიც შენ ხარ.
მაგრამ ამ ყველაფერს სამყარო დასცინის.

საბანი

რასაც აქვს ფორმა და არა არსი, რამაც განცდა ჩაანაცვლა ურთიერთობით, რასაც უკვე ვერაფერი დაუფრთხობს ფიქრს.

სურათი

მკვდარი ქალის დახუჭული, მეტყველი თვალები. მათში ისევ ილანდება სიყვარული, უკვე უკვდავი. და სურვილი, ისე მძლავრი, ვერ ამოკოცნი.

მკვდარი ქალის დახუჭული, მეტყველი თვალები.

VANA⁹

ამაოდ ვცდილობდი მესწავლებინა დანებება ჩემი გულისთვის; და ამაოდ ვარწმუნებდი: იქნება ბევრი მომღერალი შენზე ღირსეული.

მისი პასუხი ჩამესმოდა, როგორც ქარის ხმა ან ბარბითის, როგორც ლამეში ყრუ ქვითინი, ძილს მიფრთხობდა, განუწყვეტელი მიმეორებდა: *სიმღერა. სიმღერა.*

ღამდამობით ექოები ერთმანეთში ირეკლებოდნენ და დაეძებდნენ *სიმღერას, სიმღერას.* დავიღალე ამდენი გარჯით და ამდენი ხეტიალით ამდენ გზაზე, მტვრით რომ ავსებდნენ ჩემი თვალების წითელ ოვალებს.

მაგრამ ჩურჩული და ცახცახი არ წყდებოდა ღამის ჰაერში: პატარა წითელი ელფები სიტყვები ეძებდნენ *სიმღერას* პატარა რუხი ელფები სიტყვები უხმობდნენ *სიმღერას* პატარა ყავისფერი ფოთლები სიტყვები ელოდნენ *სიმღერას*

პატარა მწვანე ფოთლები სიტყვები გლოვობდნენ *სიმღერას* სიტყვებს, როგორც გაზაფხულზე შარშანდელ ფოთლებს, საითაც ქარი წაიღებდათ, იქ ეგონათ, შენვდნენ *სიმღერას.*

სიტყვები იყვნენ ფიფქებივით თეთრი და ცივი, ხან ხავსი იყვნენ, ხანაც — ბაგე, ზოგჯერ — მდინარეც მე კი სულ ამაოდ, ამაოდ ვცდილობდი მესწავლებინა დანებება ჩემი გულისთვის.

ENVOI¹⁰

მე თქვენ მიყვარდით, ჩემო პატარა სიმღერებო, მიყვარდა დღეები, რომლებსაც ახსოვდათ თქვენი დაბადება. როცა პირველად ფრთას გაშლიდით, მსხვერველად მშვენიერებო, ეს მე მოგძახოდით: *via!* თავისუფლად ბზრილებდით, როგორც მერცხლები, ქარების კვალდაკვალ, — ვიდრე გაიფრთხობოდნენ განთიადის ღვინით ღრუბლები, დაუკრეფავი მტვერებივით ვიდრე ბრწყინავდნენ ცას შერჩენილი ვარსკვლავები.

არია

ჩემი სიყვარული ის ცეცხლია, რომელიც წყალქვეშ იმალება.

— ჩემი სიყვარული კეთილია და მხიარული, და ძნელია დაჯერება ჩემი სიყვარულის, რადგან ის წყალქვეშ იმალება.

ქარის თითები მის თითებს ეხება გაუბედავი, სწრაფი მოსალმებით. ჩემი სიყვარული მხიარული, კეთილი და უბედურია, ძნელია დანახვა ჩემი სიყვარულის.

რადგან ის წყალქვეშ იმალება, ძნელია მიხედვრა ჩემი სიყვარულის.

თარგმნა ზვიად რატიანმა

¹ ანა პავლოვა (1881 – 1932), რუსი ბალერინა.
² გამოსასვლელი სამოსი (ფრნგ.).
³ ალბერტ ვიქტორ სამაინი (1858 – 1900), ფრანგი პოეტი-სიმბოლისტი.
⁴ სამეგობრო; მეგობრული ურთიერთობები (ფრნგ.).
⁵ უილიამ ბატლერ იეიტსი (1865 – 1939), დიდი ირლანდიელი პოეტი.
⁶ შენც, ჩემო ბურიენ (ფრნგ.).
⁷ კეთილი მეგობრობა (პროვანსი).
⁸ იყო საათი /ჟამი (ლათ.).
⁹ ამოთება (ლათ.).
¹⁰ პოეტ: ნარგზავნა (ძვ. ფრნგ.).



მთავარი გმირი — წიგნი!

დასასრული

სტატუსით, მრავალი უცხოელი გამომცემელი, ლიტერატურის აგენტი, მთარგმნელი დაინტერესა და მოიზიდა. ბევრი მათგანი საკუთარი სურვილით ჩამოვიდა თბილისში და დაესწრო წიგნის ფესტივალს.

უცხოეთიდან მონვეულ სტუმრებს შორის იყო მწერალი ნინო ხარატიშვილი, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, გერმანულად წერს, ძალზე პოპულარულია იქაურ მკითხველსა და გამომცემლებში და გერმანიის არაერთი ლიტერატურული პრემიის მფლობელიცაა. მწერალი წიგნის ფესტივალზე გამომცემლობა „ინტელექტმა“ გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით მოინვია. ფესტივალის გახსნის დღეს, 29 მაისს, ნინო ხარატიშვილმა თავად წარუდგინა მკითხველს თავისი რომანი „ჟუჟა“, რომელიც მანანა თანდაშვილმა, ეკატერინე რაისნერმა და ნატალია დავითაშვილმა თარგმნეს და „ინტელექტმა“ გამოსცა. მოგვიანებით ავტორთან შეხვედრა „მწერალთა სახლშიც“ გაიმართა.

„ინტელექტმა“ საფესტივალოდ, ნინო ხარატიშვილის „ჟუჟას“ გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა — მარკესის ოთხი ახალთარგმნილი რომანი შესთავაზა მკითხველს. „ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი“, „გენერალი თავის ლაბირინთში“, „პოლკოვნიკს არავინ სწერს“, „საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილი კაცის ამბავი“ თეა გვასალიამ თარგმნა. ოთხივე გამოცემის პრეზენტაცია 31 მაისს გაიმართა.

„დიოგენეს“ ახალი გამოცემებიდან კი საყურადღებოა ფრანგი ავტორის, ოლგა შავერნეს წიგნი „აუტისტი ბავშვი“ — სახელმძღვანელო მშობლებისთვის. მხატვრული ლიტერატურის მხრივ კი, მოძალებული ინტერესი იგრძნობოდა უმბერტო ეკოს „პრალის სასაფლაოს“ მიმართ.

დამთვალეირებული და მყიდველი არ მოკლებია „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სტენდსაც. საბავშვო ლიტერატურაზე უპრეცედენტო ფასდაკლებებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არნახული რიგები წარმოქმნა. თავმოსაწონებელი უფროსებისთვისაც ჰქონდათ — ჰარუკი მურაკამის „კაფკა პლაჟზე“. წიგნის პრეზენტაცია ფესტივალის დღეებში გაიმართა. ინტერესი გამოიწვია დიანა ანფიმიადის „პირადმა კულინარიამ“ — მოგონებების წიგნმა, რომელშიც, როგორც ავტორმა თქვა, გემოებით, სუნებითა და ფერებით დამახსოვრებული ადამიანები და მოვლენები თავმოყრილი.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ტრადიციული ლიტერატურული პრემიის — „თხუთმეტი საუკეთესო მოთხრობის“ — ავტორთა გამოვლენასა და დაჯილდოებას ყველა მოუთმენლად ელოდა. როგორც ყოველთვის, თავისი რჩეული თავდაპირველად „ჯეოსელმა“ დაასახელა. ეს ანა კორძაია-სამადაშვილი აღმოჩნდა, „ნიკორამ“ — თამთა მელაშვილს მიანიჭა უპირატესობა, „ისი პარიზი“ — ჯაბა ზარქუას, სააფთიაქო ქსელმა „მ6/6“ — მარი ბექაურს, „ბარამბომ“ — სალომე ბენიძეს. გამომცემლობისგან კი პირველი სამი ადგილი ასე გადაიწილა: წლის საუკეთესო მოთხრობად დასახელდა ლაშა ბუღაძის „სამნი ქალაქში“, მეორე ადგილი ერგო თეა თოფურის მოთხრობისთვის „მინის ნაკვეთი ჯოჯოხეთში“, ხოლო მესამე ადგილი — თამთა მელაშვილს მოთხრობისთვის „რაც ბაბუა წავიდა“.

სიახლეები ჰქონდა გამომცემლობა „სიესტას“, ფესტივალის დღეებში გაიმართა დავით ზურაბიშვილის „ეს-ეებისა“ და იური ყვინაშვილის „მოხეტიალე ბენჯამინის“ პრეზენტაციები, ბოლო დღეს კი ზურაბ ქარუმიძის ცნობილი რომანის „მელია-ტულეფიას“ განხილვა შედგა.

ახალი წიგნები შესთავაზა მომხმარებელს გამომცემლობა „ელფმა“. მსოფლიო ლიტერატურის არაერთი კლასიკოსის ზღაპრები ნორჩი მკითხველისთვის პირველად ითარგმნა. „ბურატინოს თავგადასავლისა“ და „ექიმი აიბოლიტის“ ახლებური თარგმანები კი შევსებულია იმ თავებითა თუ ვრცელი პასაჟებით, რომელიც ძველ ქართულ გამოცემებს რატომღაც აკლდა. „ელფმა“ უფროსებსაც მოუშადა საინტერესო საკითხავი — ჟან ჟიონოს „ჰუსარი სახურავზე“ და აჰმად ჰამდი ტანპინარის „დროის ინსტიტუტი“. ეს უკანასკნელი, ორჰან ფამუქის შეფასებით, „უდიდესი ნაწარმოებია, რომელიც კი ოდესმე სტამბოლში დანერილა“.

გამომცემლებმა, რედაქტორებმა, მხატვრებმა, დიზაინერებმა მთელი წელი იმრომეს, რათა მომხმარებლისთვის რაც შეიძლება მდიდარი არჩევანი შეეთავაზებინათ.

ოთხდღიანი ფესტივალი მართლაც წიგნის დღესასწაულად იქცა. ემოციით, შთაბეჭდილებით, სტენდიდან სტენდთან გადაადგილებით, პავილიონში წრეებზე სიარულით გადადილივით იქვე, „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე, ხეების ჩრდილქვეშ ითქვამდნენ სულს, ზოგიერთი კი მწვანე ბალახზე მიწოლილიყო წიგნით ხელში.

„მოგზაურობა სასიტყვეთში“ გრძელდება. მთავარი გმირი — წიგნი — თავის ახალ ადგილს იმკვიდრებს და მორიგ მკითხველებს უკვე მყუდრო, ოჯახურ გარემოში ელოდება.

მოამზადა თამარ ჟურნალმა





ქართული ლიტერატურის „ახალი სუნთქვა“



შეიკრიბა. ქალბატონ ლიას 2013 წლის ლიტერატურული პრემია „საბა“ საუკეთესო პოეტური კრებულისთვის — „დავინწყების დღე“ — გადაეცა.

შეხვედრას მოდერირება გაუნია მთარგმნელმა მანანა ლარიაშვილმა.

შესავალ სიტყვაში მოდერატორმა მოკლედ მიმოიხილა ლია სტურუას შემოქმედებითი გზა. ისაუბრა, თუ რა გავლენა მოახდინა მან ქართული პოეზიის განვითარებაზე, შემდეგ კი პოეტს სთხოვა, წაეკითხა რამდენიმე ლექსი იმ კრებულიდან, რომელმაც 2013 წელს სრულიად დამსახურებულად მოუტანა გამარჯვება.

ქალბატონმა ლიამ, როგორც ყოველთვის, მომწუსხავად ილაპარაკა „საბაზე“, სულხან-საბაზე, „სიტყვის კონაზე“, სიტყვაზე, თავის ლექსზე, სიმბოლისტიკაზე, სხვა პოეტებზე და სხვა თემებზე — მათ შორის იმაზე, რაზეც, როგორც თქვა, საუბარი არ უყვარს. მოკლედ, ყველაფერზე, რისგანაც შედგება თუ სუნთქავს მისი პოეზია და თავად ის.

კითხულობდა ლექსებს — უმეტესად ზეპირად — და დარბაზში ისმოდა მელოდია, არა კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოები, არამედ „ბუნებაში არსებული სტიქიური ხმები“. ეს ოთარ ჭილაძის სიტყვებია, ერთ-ერთი იმ შეფასებათაგან თუ შთაბეჭდილებათაგან, სხვადასხვა დროს ძალიან კარგ კალმონებსა და მესიტყვეებს რომ დაუნერიათ ლია სტურუაზე.

ამ პოეტზე ძალიან დიდხანს და ბევრს ისაუბრებენ. ეცდებიან, ამოხსნან, თუ რა არის მისი საიდუმლო, რატომ მოქმედებს ასე თავზარდამცემად მისი ლექსი ადამიანზე. პასუხი კი იმ სიტყვებშია, მწერალთა სახლში თავად რომ წარმოთქვა: „სიტყვა არის ჩემი იარაღი, სიტყვა არის ცოცხალი არსება, რომელიც შეიძლება, ისე გიყვარდეს, როგორც ყველაზე ახლობელი ადამიანი“.

მწერალთა სახლში ფრანკფურტის ლიტერატურული სალონის პრეზენტაცია



გაიმართა. სალონი უკვე ხუთი წელია, აქტიურად მუშაობს, გერმანულად თარგმნის და გამოცემს ქართული მწერლების ნაწარმოებებს, ზრუნავს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაზე საზღვარგარეთ. იმისთვის, რომ უცხოელი მკითხველი დააინტერესოს, სალონი მართავს ქართველ მწერალთა საავტორო საღამოებს, თარგმნილი ნაწარმოებების საჯარო კითხვას, გერმანულად გამოცემული წიგნების პრეზენტაციას, მონაწილეობს ფრანკფურტისა და ლაიფციგის წიგნის ბაზრობებზე.

მწერალთა სახლში შეკრებილ საზოგადოებას ლიტერატურული სალონი მისმა ხელმძღვანელმა, ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, მანანა თანდაშვილმა წარუდგინა. ქალბატონმა მანანამ სტუმრებს გააცნო მის მიერ განხორციელებული, ასევე, მიმდინარე ლიტერატურული პროექტები, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.

ხუთი წლის განმავლობაში ლიტერატურული სალონის ძალისხმევით გამოიცა „თანამედროვე ქართული ანთოლოგია“ (2010 წელი), ქართველი მწერალი ქალების ანთოლოგია „იაგუარების ტექსტო“ (2012 წელი), ბესო ხვედელიძის მოთხრობების კრებული „თავის გემო“ (2013 წელი). ოქტომბერში დათვა ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ გამოვიდა. მაღე გერმანულენოვანი მკითხველი გოდერძი ჩოხელის „წითელ მგელსაც“ გაიცნობს. ნაწილობრივ თარგმნილია ნატო დავითაშვილის მიერ ფენტეზის ჟანრში დაწერილი ორი საყმაწვილო რომანი, რომელიც ქართველმა მკითხველმა უკვე შეიცვარა. ასევე, ქალბატონი მანანა ჩართულია საქართველოს კულტურის სამინისტროს პროექტში „ახალი ხმები საქართველოდან“. პროექტის ფარგლებში გერმანულად ითარგმნება ახალგაზრდა ავტორების მოთხრობები.

არაერთი თანამედროვე ქართველი მწერალი სხვადასხვა დროს გერმანიაში სტუმრობდა სალონს. ისინი შეხვდნენ

მკითხველს, მონაწილეობა მიიღეს თავიანთი რომანებიდან თარგმნილი ფრაგმენტების საჯარო კითხვაში. სალონის ბოლო სტუმარი ლაშა თაბუკაშვილი გახლდათ. ის დაესწრო მისი პიესის, „ათვინიერებენ მიმინოს“ სასცენო კითხვას. ამჯერად მიმდინარეობს მუშაობა ქართველ დრამატურგთა ანთოლოგიაზე, პიესების გარკვეული რაოდენობა უკვე თარგმნილია.

გერმანულ ენაზე აჟღერდა ქართული პოეზიის ნიმუშებიც. მათ შორის — ტერენტი გრანელის, გალაკტიონის, თანამედროვე ავტორებიდან კი — დიანა ანფიმიადის, რატი ამაღლობელის, გიორგი კეკელიძის ლექსები.

პრეზენტაციას ესწრებოდა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორი დეა მეტრეველი, რომელმაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სახელით მადლობა გადაუხადა ქალბატონ მანანას საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტებისთვის და აღნიშნა, რომ მისი სახით სამინისტროს კარგი პარტნიორი ჰყავს: „როგორც ხვდებით, ძალიან რთულია გზა, რომელიც უნდა გაიაროს ქართველმა ავტორმა, მისმა ტექსტმა და მივიდეს უცხოელ მკითხველამდე. მივიდეს ისე, როგორც მწერალს ჰქონდა ჩაფიქრებული, როცა ორიგინალურ ტექსტს ქმნიდა. საუბარია მაღალი ხარისხის თარგმანების შესრულებაზე. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში ქართველი მთარგმნელების, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულეობით, ძალიან ცოტა რამ კეთდებოდა. ეს ვაკუუმი, ერთგვარი ჩავარდნა, გამოსასწორებელია. ჩვენი მთარგმნელები ბევრს შრომობენ ამ მიმართულებით, ბევრი ქართველი სპეციალისტი უცხოეთში მუშაობს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით კი თანამედროვე ქართველი ავტორების შემოქმედება ძალიან სწრაფად ითარგმნოს და გამოიცეს. კულტურის სამინისტრო და ახალშექმნილი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი ვუსწორებთ თვალს ყველა ამ სირთულეს, ვითვალისწინებთ იმ რისკებს, ამ პროცესს რომ ახლავს და უახლოესი წლების განმავლობაში ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარ მიმართულებად სწორედ ზემოხსენებული ვაკუუმის ამოვსებას ვხედავთ. ჩვენ შევქმნით ყველანაირ პირობას ქართველი და უცხოელი მთარგმნელებისთვის, რათა მათ მიეცეთ საშუალება, იმუშაონ და მაღალხარისხოვანი თარგმანები შექმნან“.

ფრანკფურტის ლიტერატურული სალონის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა პოდიუმ-დისკუსია „საქართველო — ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტუმარი ქვეყანა 2018“.

საქართველო 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის ემზადება. თანამედროვე ქართველი ავტორების წიგნების უმრავლესობა, შესაძლებელია, ოთხი წლის შემდეგ, ევროპის უდიდესი წიგნის ბაზრობის დახლებზე მოხვდეს, უცხოელი მკითხველისთვის გადაიშალოს. მუშაობა დაწყებულია. დღეიდან ყველა გზა ფრანკფურტისკენ მიდის...

მომზადდა თამარ ქურულმა

მწერალთა სახლისა და თიბისი ბანკის ერთობლივი პროექტი „საბას ლაურეატები მწერალთა სახლში“ გრძელდება. ამჯერად მაჩაბლის 13-ში საზოგადოება პოეტ ლია სტურუასთან შესახვედრად

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com